

ფინანსების საფუძვლები I, II კურსი
(ბიზნესტექნოლოგიები, ეკონომიკა, აგრარული)(მერაბ ვანიშვილი)
I,II სემესტრი. 2018-2019 წელი
(დასკვნითი გამოცდის ნიმუში)

კითხვა 1

რეალურ ფულს მიეკუთვნება:

აირჩიეთ ერთი:

- a. აქციები.
- b. დოლარი;
- c. ოქრო;
- d. ლარი;

კითხვა 2

ფინანსების სოციალურ-ეკონომიკური არსი ვლინდება:

აირჩიეთ ერთი:

- a. ფინანსური რესურსების განაწილებასა და გადანაწილებაში;
- b. ფინანსური რესურსების ფორმირებაში;
- c. ფინანსური რესურსების გამოყენებაში;
- d. ფინანსური რესურსების მოძრაობაში, რომელიც გვიხასიათებს თუ სახელმწიფო ვის ხარჯზე ღებულობს ფინანსურ რესურსებს და ვისი ინტერესებისათვის იყენებს ამ სახსრებს.

კითხვა 3

საფინანსო სისტემა არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ფინანსური საქმიანობის განმხორციელებელი სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების ერთობლიობა;
- b. სახელმწიფოსა და საწარმოების ფულადი ფონდების წარმოშობის, განაწილებისა და გამოყენების ფორმებისა და მეთოდების სისტემა.
- c. სახელმწიფოს ფულადი ფონდების წარმოშობის, განაწილებისა და გამოყენების ფორმებისა და მეთოდების სისტემა;
- d. საწარმოების ფულადი ფონდების წარმოშობის, განაწილებისა და გამოყენების ფორმებისა და მეთოდების სისტემა;

კითხვა 4

ფინანსური ბაზრის პირდაპირი დაფინანსების არხებს მიეკუთვნება:

აირჩიეთ ერთი:

- a. ფულადი საშუალებების მესაკუთრისაგან მსესხებლის ხელში გადასვლა ბანკების გავლით;
- b. ფულადი საშუალებების მესაკუთრისაგან მსესხებლის ხელში უშუალოდ გადასვლა;

- c. ფულადი საშუალებების მესაკუთრისაგან მსესხებლის ხელში გადასვლა საინვესტიციო ფონდების გავლით.
- d. ფულადი საშუალებების მესაკუთრისაგან მსესხებლის ხელში გადასვლა სადაზღვევო კომპანიების გავლით;

კითხვა 5

ფინანსური პოლიტიკა, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. საწარმოს შიდა ფინანსური ურთიერთობების სისტემა;
- b. სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ფინანსური ურთიერთობების გამოყენების მიზნით შემუშავებული და განხორციელებული ღონისძიებების ერთობლიობა;
- c. სახელმწიფოს ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაობის წესი და რეგლამენტი.
- d. საწარმოს შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმვა;

კითხვა 6

ქვემოჩამოთვლილთაგან ფინანსური პოლიტიკის ამოცანებს არ მიეკუთვნება:

აირჩიეთ ერთი:

- a. ფინანსური რესურსების ფორმირებისათვის მაქსიმალურად ეფექტიანი პირობების უზრუნველყოფა.
- b. ფინანსების მართვის ეფექტიანი სისტემის შექმნა;
- c. ფინანსური კონტროლის განხორციელება;
- d. ფინანსური მექანიზმის შემუშავება და სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების ცვლილებასთან ერთად მისი სრულყოფა;

კითხვა 7

ქვემოჩამოთვლილთაგან ფინანსების მართვა არ მოიცავს:

აირჩიეთ ერთი:

- a. სახელმწიფოს მიერ საერთო ფინანსური პოლიტიკის განსაზღვრას და გატარებას;
- b. საწარმოს ძირითადი საწარმოო ფონდების ფულად შეფასებასა და ინვენტარიზაციას.
- c. ფინანსური კანონმდებლობის დამუშავებას და მიღებას;
- d. ფინანსურ დაგეგმვას და პროგნოზირებას;

კითხვა 8

ფინანსების მართვის ობიექტებს არ მიეკუთვნება:

აირჩიეთ ერთი:

- a. სახელმწიფო ფინანსები;
- b. სახელმწიფო საფინანსო ორგანოები;

- c. საწარმოებისა და ორგანიზაციების ფინანსები;
- d. სადაზღვევო ფინანსური ურთიერთობები.

კითხვა 9

გადასახადები, შემოღებისა და გადახდის წესის მიხედვით, იყოფა:

აირჩიეთ ერთი:

- a. ერთჯერად და სისტემატურ გადასახადებად.
- b. საერთო-სავალდებულო და ფაკულტატურ გადასახადებად;
- c. მიმაგრებულ და მარეგულირებელ გადასახადებად;
- d. საერთო-სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ გადასახადებად;

კითხვა 10

მოგება, შემოსავალი, გადასახადის გადამხდელის ბრუნვა ან ქონება, რომელიც გადასახადის გამომანგარიშების საფუძველია, წარმოადგენს:

აირჩიეთ ერთი:

- a. საგადასახადო განაკვეთს.
- b. გადასახადის ობიექტს;
- c. საგადასახადო სარგოს;
- d. გადასახადის სუბიექტს;

კითხვა 11

ყველა დონის ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების შედგენისა და დამტკიცების პროცესში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დასაბუთებული მაჩვენებლების გათვალისწინება მაგალითია:

აირჩიეთ ერთი:

- a. საფინანსო საქმიანობის ანალიზის;
- b. მიმდინარე ანუ ოპერატიული ფინანსური კონტროლის;
- c. წინასწარი ფინანსური კონტროლის;
- d. შემდგომი ანუ დასკვნითი ფინანსური კონტროლის.

კითხვა 12

ფინანსური აუდიტი არ მოიცავს:

აირჩიეთ ერთი:

- a. საქმიანობისა და ფინანსური სისტემების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმებას;
- b. საქართველოს მთავრობის ანგარიშისა და ანგარიშგების შემოწმებას, შეფასებას და აუდიტის ანგარიშის გაცემას;
- c. აუდიტის ობიექტის ანგარიშისა და ანგარიშგების შემოწმებას, შეფასებას და აუდიტის ანგარიშის გაცემას;

- d. აუდიტის ობიექტის საქმიანობის კანონიერებისა და მიზნობრიობის შემოწმებას, შეფასებას და აუდიტის ანგარიშის გაცემას.

კითხვა 13

ფედერალური სახელმწიფოებრივი მოწყობის პირობებში სახელმწიფო მართვა ხორციელდება:

აირჩიეთ ერთი:

- a. სამ მმართველობით დონეზე;
- b. ორ მმართველობით დონეზე;
- c. ხუთ მმართველობით დონეზე.
- d. ოთხ მმართველობით დონეზე;

კითხვა 14

ბიუჯეტის ფუნქციებს არ მიეკუთვნება:

აირჩიეთ ერთი:

- a. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება და სტიმულირება;
- b. საბიუჯეტო სისტემის სრულყოფა;
- c. კონტროლი ფულადი საშუალებების ცენტრალიზებული ფონდების ფორმირებასა და გამოყენებაზე.
- d. ეროვნული შემოსავლის (ან მშპ-ის) გადანაწილება;

კითხვა 15

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი არ უნდა შეიცავდეს:

აირჩიეთ ერთი:

- a. მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას ხარჯების და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით;
- b. წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს;
- c. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;
- d. სარეზერვო ფონდის მოცულობას.

კითხვა 16

იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო თავის თავზე იღებს იურიდიული და ფიზიკური პირების სესხებისა თუ სხვა ვალდებულებების დაფარვის პასუხისმგებლობას, იგი გვევლინება:

აირჩიეთ ერთი:

- a. გარანტის რანგში;
- b. კრედიტორის რანგში;
- c. მსესხებლისა და კრედიტორის რანგში.

d. მსესხებლის რანგში;

კითხვა 17

საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ კრედიტებისათვის გაცემული სახელმწიფო გარანტიების თანხების მთლიანი ჯამი იწოდება:

აირჩიეთ ერთი:

- a. საშინაო კრედიტებისათვის გაცემულ საქართველოს სახელმწიფო გარანტიებად;
- b. საქართველოს სახელმწიფო ვალად;
- c. კრედიტებისათვის გაცემულ საქართველოს სახელმწიფო გარანტიებად.
- d. საგარეო კრედიტებისათვის გაცემულ საქართველოს სახელმწიფო გარანტიებად;

კითხვა 18

სახელმწიფო სპეციალური ფონდები არის მოსახლეობის კონკრეტული სოციალური ჯგუფების სასარგებლოდ:

აირჩიეთ ერთი:

- a. ეროვნული შემოსავლის (ან მშპ-ის) წარმოების მეთოდი;
- b. ეროვნული ეკონომიკის ზრდის სტიმულირების მეთოდი;
- c. ეროვნული სიმდიდრის სამეურნეო ბრუნვაში მოქცევის მეთოდი.
- d. ეროვნული შემოსავლის (ან მშპ-ის) გადანაწილების მეთოდი;

კითხვა 19

საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდი სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდად გადაკეთდა:

აირჩიეთ ერთი:

- a. 2002 წლის 31 დეკემბერს;
- b. 2003 წლის 31 იანვარს.
- c. 2001 წლის 31 იანვარს;
- d. 2000 წლის 31 დეკემბერს;

კითხვა 20

სუვერენული საინვესტიციო ფონდები იქმნება ქვეყნებში, რომლებიც განიცდიან:

აირჩიეთ ერთი:

- a. ეროვნული ოქრო-სავალუტო რეზერვებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტს;
- b. საგადასახდელი ბალანსის და სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტს;
- c. საგადასახდელი ბალანსის პერიოდულ თუ ქრონიკულ დეფიციტს და, შესაბამისად, ეროვნული ოქრო-სავალუტო რეზერვებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტს;
- d. საგადასახდელი ბალანსის პროფიციტს, ეროვნული ოქრო-სავალუტო რეზერვებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტს.

კითხვა 21

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა:

აირჩიეთ ერთი:

- a. მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება დამოუკიდებლად და ორგანიზებულად, ქონების მიღების მიზნით;
- b. მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება დამოუკიდებლად და ორგანიზებულად, მოგების მიზნით;
- c. მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება დამოუკიდებლად და ორგანიზებულად, გადასახადების გადახდის მიზნით;
- d. მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება დამოუკიდებლად და ორგანიზებულად, საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით.

კითხვა 22

კომერციული ორგანიზაციის ფინანსური რესურსების წყაროებში რეალიზაციის გარეშე შემოსავლების წილზე მოქმედ ფაქტორებს არ მიეკუთვნება:

აირჩიეთ ერთი:

- a. მისი აქტივების დიფერენციაციის ხარისხი;
- b. ამ აქტივებში დაბანდებების შემოსავლიანობა;
- c. მომწოდებლებთან და მყიდველებთან სამეურნეო კავშირების საიმედობის ხარისხი.
- d. შემოსავლის ზრდა საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) რეალიზაციიდან;

კითხვა 23

კომერციული ორგანიზაციის ფინანსური გეგმებისა და პროგნოზების შედგენისათვის გამოყენებულ მეთოდებს არ მიეკუთვნება:

აირჩიეთ ერთი:

- a. ნორმატიული;
- b. ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების;
- c. ბიუჯეტირების;
- d. დისკონტირების.

კითხვა 24

წარმართავს ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკას ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და ხელს უწყობს ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას:

აირჩიეთ ერთი:

- a. ფინანსთა სამინისტრო;
- b. პრეზიდენტი, მთავრობასთან კოორდინაციით.
- c. ცენტრალური (ეროვნული) ბანკი;
- d. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

კითხვა 25

დაზღვევის სხვადასხვა სახეების ერთობლიობა ქმნის:

აირჩიეთ ერთი:

- a. სადაზღვევო ბაზრის ასორტიმენტს.
- b. დაზღვევის სისტემას;
- c. სადაზღვევო პოლისს;
- d. სადაზღვევო კანონმდებლობას;

კითხვა 26

ანაზღაურებების დაფინანსებისათვის იმ სადაზღვევო მოვლენების მიხედვით, რომლებიც მოხდა დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მაგრამ რომლებიც ცნობილი არ იყო არც დამზღვევისათვის, არც სადაზღვევო ორგანიზაციისათვის, ყალიბდება:

აირჩიეთ ერთი:

- a. სტაბილიზაციის რეზერვი.
- b. მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი;
- c. გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი;
- d. განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი;

კითხვა 27

არაკომერციული ორგანიზაციების ფინანსები წარმოდგენილი არ არის ფინანსური ურთიერთობებით:

აირჩიეთ ერთი:

- a. თავიანთ თანამშრომლებთან შრომის ანაზღაურების ფონდების და მიზნობრივი დანიშნულების ფონდების (მატერიალური წახალისების, საწარმოო და სოციალური განვითარების და სხვა) ფორმირებისა და გამოყენების გამო.
- b. სხვა ორგანიზაციებთან და ფიზიკურ პირებთან მოსალოდნელი ხარჯების გაწევის გამო;
- c. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან სხვადასხვა დონის ბიუჯეტების და სპეციალური ფონდების ბიუჯეტების წინაშე ვალდებულებების შესრულების გამო გადასახადების გადახდის, და ასევე სავალდებულო საპენსიო და სოციალურ დაზღვევაზე სადაზღვევო შენატანების გზით;
- d. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან საბიუჯეტო სახსრების მიღების და მათი გამოყენების გამო;

კითხვა 28

არაკომერციული ორგანიზაციის შენახვასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯებს არ მიეკუთვნება:

აირჩიეთ ერთი:

- a. სახელმწიფო სპეციალურ ფონდებში გადასახადების გადახდის ხარჯები;
- b. ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალის შრომის ანაზღაურების ხარჯები;

- c. სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯები;
- d. დაფინანსებული პროგრამებისა და ღონისძიებების რეალიზაციასთან უშუალოდ დაკავშირებული ხარჯები.

კითხვა 29

დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, საქართველოში 2013 წელს არაკომერციული ორგანიზაციების სექტორის პროდუქციის გამოშვების მოცულობაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩეოდა:

აირჩიეთ ერთი:

- a. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების დარგის ორგანიზაციები;
- b. კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევის დარგის ორგანიზაციები.
- c. განათლების დარგის ორგანიზაციები;
- d. საფინანსო საქმიანობის დარგის ორგანიზაციები;

კითხვა 30

საოჯახო მეურნეობის (შინამეურნეობის) წარმომქმნელ ნიშნებს არ მიეკუთვნება მისი წევრების:

აირჩიეთ ერთი:

- a. მუდმივი ერთად კვება.
- b. ბიუჯეტის ერთიანობა (სრული ან ნაწილობრივი);
- c. მუდმივი ერთად ცხოვრება;
- d. საერთო ოჯახური წარმომავლობა;

კითხვა 31

საოჯახო მეურნეობის გარე ფინანსურ ურთიერთობათა სისტემას არ მიეკუთვნება ურთიერთობები:

აირჩიეთ ერთი:

- a. სახელმწიფოსთან საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ფონდების ფორმირებისა და გამოყენების გამო.
- b. სადაზღვევო ორგანიზაციებთან სხვადასხვაგვარი სადაზღვევო ფონდების ფორმირებისა და გამოყენების გამო;
- c. კომერციულ ბანკებთან სამომხმარებლო სესხების მოზიდვისა და დაფარვის, დროებით თავისუფალი ფულადი საშუალებების საბანკო ანგარიშებზე განთავსების გამო;
- d. საოჯახო მეურნეობის წევრებს შორის ერთობლივი ფულადი ფონდების ფორმირებისა და გამოყენების გამო;

კითხვა 32

საოჯახო მეურნეობის მიერ მიღებული ფინანსური გადაწყვეტილებების ტიპებს არ მიეკუთვნება:

აირჩიეთ ერთი:

- a. სოციალური ფინანსური გადაწყვეტილებები;

- b. მარეგულირებელი ფინანსური გადაწყვეტილებები.
- c. საინვესტიციო ფინანსური გადაწყვეტილებები;
- d. ხელფასთან დაკავშირებული ფინანსური გადაწყვეტილებები;

კითხვა 33

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში გამოყენებულ ფულს ეწოდება:

აირჩიეთ ერთი:

- a. ოქროს სერტიფიკატი.
- b. ვალუტა;
- c. ფულადი საქონელი;
- d. სავალუტო კურსი;

კითხვა 34

მსოფლიო სავალუტო სისტემის მდგენელებში არ შედის:

აირჩიეთ ერთი:

- a. სავალუტო კურსების რეგულირების ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმები.
- b. მსოფლიო ფინანსური გარემო;
- c. საერთაშორისო და რეგიონული ვალუტები;
- d. ეროვნული და სარეზერვო ვალუტები;

კითხვა 35

ეროვნული ვალუტის კურსის ამალღებას უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში ნიშნავს:

აირჩიეთ ერთი:

- a. რევალვაცია;
- b. სავალუტო შეზღუდვის პოლიტიკა;
- c. დევალვაცია.
- d. სავალუტო რეზერვების დივერსიფიკაცია;

კითხვა 36

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ძირითად მიზნებსა და ამოცანებში არ შედის:

აირჩიეთ ერთი:

- a. საერთაშორისო ფინანსური ურთიერთობების სტაბილურობის უზრუნველყოფა;
- b. საერთო მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარება.
- c. ვალუტათა სტაბილიზების უზრუნველყოფა;
- d. სახელმწიფოთაშორისი სავალუტო-საფინანსო და საკრედიტო რეგულირება;

კითხვა 37

განვითარების საერთაშორისო ასოციაციის კრედიტები ძირითადად იმ ქვეყნებისთვის არის განკუთვნილი, რომელთა მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით:

აირჩიეთ ერთი:

- a. 1545 აშშ დოლარზე ნაკლებია;
- b. 725 აშშ დოლარზე ნაკლებია.
- c. 1345 აშშ დოლარს აღემატება;
- d. 925 აშშ დოლარზე ნაკლებია;

კითხვა 38

საერთაშორისო სავალუტო ფონდის საკრედიტო მექანიზმი არ მოიცავს:

აირჩიეთ ერთი:

- a. საკრედიტო წილების მექანიზმს;
- b. საერთაშორისო ფინანსური სტატისტიკის სტანდარტების შემუშავებას;
- c. შეთხმებებს სარეზერვო კრედიტებზე;
- d. გაფართოებული და დამატებითი დაფინანსების მექანიზმებს.

კითხვა 39

მსოფლიო ბანკის ჯგუფში შედის არ შედის:

აირჩიეთ ერთი:

- a. მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტო;
- b. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია;
- c. ინვესტიციური დავების რეგულირების საერთაშორისო სააგენტო.
- d. საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი;

კითხვა 40

რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის პროფესიულ სტრატეგიულ მართვას ახორციელებს:

აირჩიეთ ერთი:

- a. მმართველი საბჭო;
- b. გენერალური საბჭო;
- c. აღმასრულებელი საბჭო;
- d. დირექტორთა საბჭო.